საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2016 წლის 20 ივლისის
დადგენილება №2092

სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამის
ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ
აკადემიური საბჭოს 2011 წლის
10 ივნისის №469 დადგენილებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ნაწილობრივ შეიცვალოს სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ივნისის №469 დადგენილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – ”უნივერსიტეტი”) დოქტორანტურის, მაგისტრატურის, ბაკალავრიატის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – ”პროგრამა”) ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსსა და ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც:

- უძღვება პროგრამის შემუშავებისა და მისი განვითარების პროცესებს;
- უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან;
- უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების (საგნების) შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;
- მონაწილეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები, სალექციო აუდიტორიები, სახელმძღვანელოები და ა.შ.) და პროგრამის (ან მისი რომელიმე კომპონენტის) ურთიერთშესაბამისობის შეფასებაში;
- თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, დარგის საწარმოებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან დარგის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განვითარების მიზნით.

2. პირი არ შეიძლება იყოს რომელიმე უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურის ერთზე მეტი პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელობა პირს ეთვლება სასწავლო-მეთოდური მუშაობის კომპონენტად, რაც აისახება მისი აკადემიური დატვირთვით.

3. პროგრამის ხელმძღვანელი, როგორც წესი, შეიძლება იყოს უნივერსიტეტის სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროფესორი;

4. პროგრამას და მის ხელმძღვანელს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, არსებული წესის თანახმად;

5. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე;

6. პროგრამაში სერიოზული ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია უარყოფითი გარე შეფასება ან/და აკრედიტაციის/ავტორიზაციის საბჭოს უარი, განიხილება პროგრამის ხელმძღვანელის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე